№ 5

კვირა 8 იანვარი 1895

1877—1895

# ივერია

№ 5

კვირა, 8 იანვარი 1895

გაზეთის ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

გოლოვინის პროსპექტი, სახლი მირიმანოვისა

## გამოფენა

ჩვენის დროისათვის ორის უდიდესის საკვირველებისა

1) **ქონდრის კაცები**

ყველაზედ უპატარესნი ცოლ-ქმარნი დედამიწის ზურგზედ

**მარკიზ მაგნო**, შობიდგან 38 წლისა, სიმაღლით 28 დიუიმი, სიმძიმით $9^1/_2$ კილ.

**მარკიზა ლუიზა**, შობიდგან 28 წლისა, სიმაღლით 29 დიუიმი, სიმძიმით $10^1/_2$ კილ.

2) ცოცხალნი ბუნებრივად შეხორცებულნი ინდოეთელნი



ტეუპნი-დანი

**რადიკა და დუდიკა**

ჩვენის დროისათვის ყველაზედ უდიდესი საკვირველება ბუნებისა



გამოფენა დაიწყება კვირას, 1 იანვრიდგან და ღია იქნება ყოველ დღე, დილის 11 საათიდგან საღამოს 10 საათამდის.

ადგილების ფასი: სკამები 40 კაპ., ფეხზედ დგომით 20 კაპ. ყმაწვილები 10 წლისაზედ ნაკლებნი და ჯარის-კაცნი იხდიან მხოლოდ ნახევარ ფასს.

(20—6.—5)

სამზრუნველო, რომელსაც მინდობილი ჰქონდა კუკიის სასაფლაოზედ წმ. მოციქულთა-სწორის ნინოს სახელობაზედ ეკკლესიის აგება, საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ეკკლესიის აგება უკვე დამთავრდა და მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ექსარხოსმა უნდა აკურთხოს 12 იანვარს. ღვთის მსახურება ტაძრის საკურთხებლად დაიწყება დილის ცხრა საათზედ, ამის შემდეგ მისი ყოვლად უსამღვდელოესობა სიონის საკრებულო ტაძრის კრებულისა და მგალობელთა თანამსახურებით სწირავს.

კურთხევის წინა დღეს ადგილობრივი მღვდელი ი. ბერიძე ახალს ეკკლესიაში გარდაიხდის მწუხრის ლოცვას ცისკრითურთ.

(3—უ.—2)

ქართული თეატრი

კვირა 8 იანვარს, 1895 წ.

„ქართული წარმოდგენების მმართველი ამხანაგობის“ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ვ. აბაშიძისა და კ. ყიფიანის მონაწილეობით

## დაძმა

დრ. 5 მოქ. ვ. გუნიასი

მონაწილეობას ღებულობენ: აბაშიძისა, ჩერქეზიშვილისა, ბ-ნნი ყიფიანი, სვიმონიძე, გამყრელიძე, გ[...]ვანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე, გუნია და სხვ.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

შეგირდებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად: „**ვისი ბრალია**,“ დრამა 3 მოქმ. და „**მუშაკი და ნეზიერი**“, დრამა 4 მოქმედ.

რეჟისორი ალ. მესხიშვილი — ადმინისტრატორი ვალ. გუნია.

## ტფილისი, 8 იანვარი

—

გუშინწინდელმა პარიზის დეპეშამ ერთობ მოულოდნელი ამბავი მოიტანა: ამ რამდენისამე ხნის წინად რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულმა კაზიმირ პერიემ უარი განაცხადა პრეზიდენტობაზედა ი. ამიტომ საჩქაროდ დანიშნეს ვერსალში კონგრესი და ახალ პრეზიდენტად აირჩიეს ფელიქს ფორიო, რომლის არჩევაც არა ნაკლები მოულოდნელი იყო. რაღა თქმა უნდა, ამისთანა დიდს თანამდებობას, როგორიც არის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა, ყველა მოელოდა, რომ იმისთანა კაცი დაიჭერდა, რომლის სახელი საფრანგეთის საპოლიტიკო მოღვაწეთა შორის ფრიად თვალ-საჩინო იყო.

თუმცა ორი უკანასკნელი პრეზიდენტი კარნო და პერიეც, არ ითვლებოდენ მაინცა და მაინც უწარჩინებულესს საპოლიტიკო მოღვაწეთა შორის მაგრამ, კარნოს ხშირად იგონებდენ, როგორც შეგნებულ მინისტრს, აგრეთვე როგორც გამოჩენილის რესპუბლიკელის კარნოს შთამომავალსა და ეს გარემოება აადვილებდა იმისს პრეზიდენტად არჩევას. რაც შეეხება პერიეს, ყველას ეხსომება, რომ მან პრეზიდენტად ამორჩევის წინა ხანებში თავი ისახელა გონიერისა და მიუდგომელის მოქმედებით, როგორც მინისტრობის დროს, ისე პარლამენტის პრეზიდენტობის თანამდებობაზედ. მაგრამ ახლად ამორჩეულ პრეზიდენტის შესახებ ძნელია რამე ვთქვათ. მართალია, ფორის სახელი არა ერთხელ წარმოთქმულა საფრანგეთის აწინდელ მოღვაწეთა შორის, მაგრამ ეს სახელი არც ისე ბრწყინვალე იყო, რომ ფორის არჩევა მცირეოდნად მაინც მოსალოდნელი ყოფილიყო.

ჯერ, მანამ არ ვიცით დაწვრილებით ის საბუთები, რომლებმაც პერიე აიძულეს, სამსახურისათვის თავი დაენებებინა, ვერ ვიტყვით, რა იყო უახლოესი მიზეზი მისგან მიღებულ განზრახვისა. მაგრამ თვით ის გარემოება, რომ პერიემ ასე მოულოდნელად განაცხადა თავისი სურვილი, იმას ამტკიცებს, რომ რესპუბლიკის საქმე საფრთხილოდ აღარ არის საფრანგეთში და მოულოდნელად გამოცვლა ამა თუ იმ მმართველისა ხელს ვერ შეუშლის მას. თუმცა შესაძლებელია, რომ ეს კრიზისი, რომელმაც დღეს ბედნიერად ჩაიარა სხვისა რისამე მომასწავებელიც იყოს, რომლის სათავე ამ ჟამად არა სჩანს.

საფრანგეთში თან და თან ვრცელდება ის აზრი, რომ რესპუბლიკისთვის პრეზიდენტობა საჭირო არ არის და თვით გა[...] მოჩენილი გრევიც იმ აზრის იყო, რომ პრეზიდენტის თანა[...]დებობა გაუქმებულ უნდა იყოს. მაშინ საკვირველი არ არი[...] რომ ამ უკანასკნელ ხანში პრე[...]ზიდენტების არჩევის დროს ი[...] აღარ ეტანებიან გამოჩენილ საპოლიტიკო მოღვაწეებსა. უეჭველ[...] ფორის არჩევასაც ეს საბუთი ა[...] და სრულიად არ უნდა ჩაით[...]ლოს ეს ამბავი რაიმე საკვირვე[...] მოვლენად.

—ლი—გ

## ტფილისი.

(მურავიოვის მოგზაურობიდგან „საქართველო და სომხეთი“)

ჩემის ტფილისში მისვლის პირველსავე დღეებში თითქმის გავიცან კიდეც ქალაქი და თუმცა ბევრს შესანიშნავს არას წარმოგვიდგენს, მაგრამ მე მაინც ვეცდები უყურადღებოდ არა გავუშვა-რა. ტფილისი, რომელიც უკანასკნელ აღა-მაჰმათ-ხანის შემოსევით განადგურებულ იქმნა, ბევრად გამოიცვალა რუსეთის მფლობელობის ქვეშ: ძველი ქალაქი, რომელიც გალავნის შიგნით არის მოქცეული, შესდგება აქაურ მკვიდრთა სახლებიდგან, სავაჭრო ბაზრიდგან და რამდენისამე ქარვასლიდგან; ვიწრო მიხვეულ-მოხვეულ ბაზარს და ბნელ თაღებს ქარვასლისას გაკვირვებაში მოჰყავს აზიის ცხოვრების ჯერ უცნობი ევროპიელი. ღია დუქნებში სხედან ხელოსნები, თავისუფლად ჰმუშაობენ და სრულიადაც არ აქცევენ ყურადღებას ხალხის აჩქარებულ მიმოსვლას და დატვირთულ აქლემების და ცხენების გავლა გამოვლას.

ქალაქს გარეთ ბუნებით თბილი აბანოებია, რაც ტფილისის დიდს ღირსებას შეადგენს. იმათის წყალობით თვით ქალაქსაც ტფილისი ჰქვიან. ძველ ქალაქს გარეთ, სადაც წინეთ მეფის ზვრები და ქვაშვეთის წმ. გიორგის სასაფლაო იყო, დღითი დღე ახალი ქალაქი შენდება ევროპიულს გემოვნებაზედ. თავად მთავარ-მართებელის სასახლე დიდხანს იდგა აქ მარტო, მაგრამ ეხლა მის გარშემო მრავალს ევროპიულს გემოვნებაზედ აგებულს სახლებსა და სწორე, სუფთა ქუჩებსა ჰნახავთ, მთაწმინდის ფერდობს ლამაზად ეფინება სახლები, საბაღოსა და წყლისაკენაცა შენდება თან-და-თან და უფრო-კი ერევნის მოედანს ეხვევიან გარშემო.

მეფე გიორგი ეხლა ვეღარც-კი იცნობდა თავისს მტკვრის პირად მდგომარე სასახლეს, რომელშიაც ავადმყოფმა სამი წელიწადი გაატარა, რადგანაც მამა-პაპეული სასახლე ულმობელ მტერთაგან მტვრად იყო ნაქცევი. იმისს სახლში ეხლა არტილლერიის უფროსი სცხოვრობს. იქ-კი, სადაც ირაკლი მეორემდის მეფეების სასახლე იყო გადაჭიმული, გუბერნიის გამგეს სახლი არის აგებული. ვერაფერს ცნობებს ვერ ვპოულობთ ამის შესახებ, რანაირად იყო მოწყობილი უკანასკნელ მეფეების დროს სასახლე ქართველთა მეფეებისა. მაჰმადიანმა როსტომ მეფემ, რომელმაც შაჰ-აბაზისაგან გაოხრებულის ქალაქის კედლები განაახლა, მეფის სასახლე აღმოსავლეთის გემოვნებაზედ მოაწყო. შარდენი რომელიც ძვირფასის ქვებით ვაჭრობდა სპარსეთში და რომელიც ბერმა კაპუცინებმა მიიყ[...] როსტომის მემკვიდრის შაჰ-ნა[...] სასახლეში, შემდეგნაირად აგვი[...] მეფის სასახლეს.

„მეფის სასახლე, რასაკვირ[...] საუკეთესო სამკაულს შეადგე[...] ლაქისასაო, ამბობს იგი; ი[...] რონი დარბაზები მტკვარს გ[...] რის ლამაზად და გარშემო მშვენიერი ბაღი არტყია. ბაღში ფრინველთათვის გაკეთებულ განყოფილებაში მრავალი საუკეთესო დაგეშილი მიმინოა. სასახლის წინ მოედანზედ, რომელიც ირგვლივ დუქნებით არის მოჭედილი, ათასამდის ცხენი დაეტევა. მისაღები დარბაზი, რომელიც წყლის მხრიდგან სრულიად ღიაა, სიგრძით 18 საჟენია, სიგანით-კი 7. ჭერი მორთულია ვითომ-და მოზაიკით და მრავალ წვრილ, 6—7 საჟენის სიმაღლე ოქროთი მოვარაყებულ ბოძზეა დაყრდნობილი; იატაკი ძვირფას ხალებითაა დაფენილი. სამი პატარა ბუხარი ათბობდა იმ დარბაზს, რომელშიაც შაჰ-ნავაზმა მინახულა მისსიონერების წყალობით“. საყურადღებოა ამასთანავე მისი სიტყვები მისსიონერების შესახებ.

„მას შემდეგ, რაც ისინი რომიდგან საქართველოში გამოეგზავნათ, სულ ცამეტს წელიწადს გაევლო. მისსიონერები ექიმობის სახელით შ[...] მოსულიყვნენ, რისთვისაც დიდის [...]

# ფელეტონი

—

**ორ-ხმიანი საახალწლო**

ოპერეტი*)

XI

ნ. ზ. ცხვედაძე,

ამას ვამბობ და ვღაღადებ,
ისმინეთ ჩემი თხრობილი:
ნუ არიდებთ შვილს სასწავლოდ,
რა ხელს მოგცემთ უწვრთნი შვილი!..
ქვანიცა ჰყრიან მინდორად
უხმარი და განაწბილი.
ისმინეთ, აი რას ამბობს
პედაგოგია ბრძნობილი:
«ვით ახალ ნორჩი ვაზისა
ხელს მიჰყვეს საფურჩქვნელადა,
ეგრეთ ახალი მოზარდი
კარგს ოსტატს გასაწვრთნელადა.
«სწავლას ნურას დააბრალებთ
თუ ვერ იქნა შვილი წვრთნილი,
ცემა გმართებთ გამზრდელისა
რა ყრმა ჰნახოთ ავად ზრდილი“.

ხორო

ვითა კლდე-ტინი მაგრად სდგას
და უძლებს ქართა ქროლასა,
ისე ჭკვიანი სწავლული
ამა საწუთროს რჩოლასა.
საჭირო არის წვრთნა, სწავლა
ვითა ფარხმალი ბრძოლასა,
სჯობს ყოლა უწვრთის ძაღლისა
უწვრთნელის შვილისყოლასა.

XII

ი. გოგებაშვილი

ჩემი აწ სცანით ყოველმან
მას ვაქებ, რაცა მიქია:
დედა-ენა მიჩნს სახელად
ა-  თავი გამიქიქია.
იგია ფუძე ქართვლისა
მაგარი ვითა ჯიქია...
დედა-ენითა წვრთნა ყრმისა
მე ბევრჯერ მითქვამს, მიქია.
დედა ენა პირველადვე
სიბრძნისაა ერთი დარგი,
ტკბილი ტკბილად გასაგონი,
ყრმათა წვრთნისთვის დიდი მორგი...
მით ზრდას არვინ დამიწუნებს
თუ კაცია მართლა ვარგი...
სიტყვა სრულად გულსა სწვდება—
დედა-ენა მით არს კარგი.

ხორო

მოგახსენებთ: ეგე სწავლა
ჩვენთვის ყოვლად სოფლად ჰღირდეს,
მაგრამ რა ვქნათ? როგორ გავძლოთ,
როს ჩვენ ჭირი შინვე გვჭირდეს?
როს გიორგი წერეთელი
დედა-ენას სთხრიდეს, ჰრყვნიდეს,
და მაინც-კი კადნიერად
მის განწმენდას იქადიდეს?
არ მიიღოს მან შენგან წვრთნა,
არ გისმინოს, ნუ გიკვირდეს:
გონიერსა მწვრთნელი უყვარს,
უგუნურსა გულსა ჰგმირდეს.

ფირუზა

(შემდეგი იქნება)

იხ. «ივერია», № 4.

# ახალი ამბავი

—

** ...ექვსს იანვარს, ნათლიღება ...ღეს, სიონის საკათედრო ტაძარში, ...ს საათზედ მთელმა ტფილისის ...სამღვდელოებამ მოიყარა თავი და წირვის შემდეგ გამოასვენეს ჯვარი. სამღვდელოთა კრებამ გაიარა სიონის ქუჩა, სომხების ბაზარი, ერევნის მოედანი, სასახლის ქუჩა, გოლოვინის პროსპექტი და ქაშვეთის ეკლესიაში მივიდა და აქედგან საქართველოს ეგზარხოსის მეთაურობით იორდანე...ედ გაემგზავრა. იორდანეს თითქმის ...თელი ტფილისი დაესწრო.

** ტფილისის სასულიერო სემი...ნარიის აწინდელის შენობის სივიწროვის გამო, ამ სასწავლებლის მთავრობას განუზრახავს, ვერაზედ, ჯვრის მახლობლად ააგოს ახალი შენობა. ამ საგნისათვის შეუძენიათ კიდეც ადგილი, 29,000 მ. ღირებული. გარდა ამისა ობერ-პროკურორის ამხანაგის ...ტ. ს. საბლერის შუამდგომლობით წმინდისს სინოდს პანსიონის გასა...ჯობესებლად 6,000 მანეთი გადა...ეცია. („კავკაზი“).

** ჟურნალ მოამბეს შარშანდელ XII წიგნში დამთავრებულ „ღვი...ს დაყენების“ სამაგიეროდ ახლა ...ა არა ნაკლებად ძვირფასი და სა...რო სტატიის ბეჭვდა დაუწყია. ამა ...95 წლის პირველ ნომრიდგან, ...ელდობრ პროფესორ ე. პეტრია...ლის „რძე და იმისი სხვა და სხვა ...რად გამოყენება“.

** ტფილისში ჩამოუყვანიათ ...დრის კაცებთან აგრეთვე ორი ...უპი დები რადიკა და დუდიკა, ...რთებულნი ერთად კუჭით და მა...გაშორება შეუძლებელია; რადი...ული მარჯვენა მხარეს აქვს და დუდიკას მარცხენას. კუჭი ორი აქვთ მაგრამ შეერთებული, ასე რომ როდესაც ერთი სჭამს, მეორე არ გრძნობს შიმშილს. ისინი დადიან, დარბიან კიდეც ორივენი ერთად და ერთსა და იმავე დროს ჰგრძნობენ ძილს, სიხარულს და დაღალვას. ერთსა და იმავე დროს ორივეს ეკიდებათ ძილი და ორივე ერთად იღვიძებენ. თუ ერთი იმათგანი ლაპარაკობს, შეუძლია გაჩერდეს და მეორემ განაგრძოს საუბარი. ხუთის წლისა არიან. გამოჩენილი პროფესორი ანთროპოლოგი ფრიდრიხ ვირხოვი და პრეზიდენტი ბერლინის საანთროპოლოგიო საზოგადოებისა ჰაწერენ ამათ შესახებ, რომ იმათ დიდის ყურადღებით გასინჯეს ეს უცნაური ტყუპი და აქამდის ამისთანა გასაკვირველი არა შეხვედრიათ-რა მთელის ქვეყნის ტყუპთა შორისაო. თითქმის ამასვე ამბობენ სხვა საზღვარ-გარეთელი გამოჩენილნი გაზეთები.

** ქ. ქუთაისი: წრეულს ჩვენსკენ არა ჩვეულებრივი ზამთარია. ხეები ჰყვავის და იქამდის თბილა, რომ აქაურები ზაფხულის ტანისამოსით დადიან. ამბობენ, სამოცი წელიწადია, რაც ასეთი თბილი ზამთარი არ გვინახავსო.

** დ. ლანჩხუთი (ოზურგეთის მაზრა:) ეს ის ლანჩხუთია, რომელშიაც აგერ ორი წელიწადი იქნება, რაც დავაარსეთ უფასო წიგნთ-საცავი და არავითარი ანგარიში არ ყოფილა ამ დრომდის. დღეს-კი, 5 იანვარს, საღამოს 4 საათზედ, შესდგა კრება რამდენისამე კაცისაგან თვით სამკითხველოს დარბაზში და იანგარიშეს შემოსავალ-გასავალი. აღმოჩნდა, რომ წიგნთ-საცავს ამ ორ წელიწადში შემოსავალი ჰქონია სულ 107 მან. და 27 კ. და დახარჯულა 100 მან. და 37 კ. ნივთები და მოწყობილობა წიგნთ-საცავისა გამოვიდა 60 მანეთისა და 85 კ. წიგნებიკი, რაც ამ დროებით არის წიგნთ-საცავში შემოწირული, დაფასებულ იქმნა 182 მანეთად.

** ს. წესი (რაჭის მაზრა). მშვენიერი ამინდები დგას. ხნიერი კაცები ამბობენ, რომ ამისთანა მშვიდს ზამთარს არ მოვსწრებივართო. საქონელი საკვირველა მთლად არის და ტყეში იკვებება კვრეხილით. მხოლოდ თითონ მცხოვრებლებს უჭირთ, სიღარიბისაგან სასოწარკვეთილებაში სცვივიან. მოგეხსენებათ, წელს რაჭის მაზრას მოუსავლობამ დაჰკრა და ისეთაც ბოგანო ღატაკი ხალხი უარესად გასაწყლდა. ვისაც რა ებადა, უკვე შეჭამა და ეხლა ხახა ამომშრალი სხედან.

—◆◆—

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

„მოსკოვ. ვედომ.“ ახალწლის ნომრის მეთაურ წერილში აღნუსხულია ყოველი ის გარემოება, რომელიც 1894 წლის განმავლობაში გადაჰხედია რუსეთს. წერილის ავტორი 1894 წელს განსაკუთრებულს ადგილს უთმობს და ამბობს, რომ ამ წლის მოვლენათა შორის უშესანიშნავესს მოვლენად ხელმწიფე ალექსანდრე III-ს გარდაცვალება უნდა ჩავთვალოთო.

როდესაც იმპერატორი ალექსანდრე მესამე სამეფო ტახტზედ ავიდა, რუსეთი ისეთს გამოურკვეველს მდგომარეობაში იყო, რომ „არეულობის“ დროიდგან ასეთს განსაცდელში არა ყოფილა. თვით სამეფო ტახტსაც-კი სახელმწიფო და საეროვნო დედა-აზრთა მოღალატეთა დასი ეხვია გარს, რომელთა ღალატმაც თავი იჩინა არა მარტო მეფის-მკვლელ რევოლუციონერების შეთქმულობით, არამედ იმათ საკონსტიტუციო გეგმებითაც-კი, ისინი-კი უნდა ყოფილიყვნენ უმთავრესი დედაბოძნი იმ ხელმწიფისა, რომელმაც ღირს-ჰყო და თავისს სახელმწიფო საქმეთა მართვა მიანდო. რუსეთის ეროვნების დედა-აზრთა ღალატი იმდენად თავხედი შეიქნა, რომ ავაზაკურად მოკლულის განსისხლიანებულის იმპერატორის გვამის წინ სახელმწიფოს წინააღმდეგთ უსირცხვილოდ დაიწყეს კონსტიტუციის თხოვნა, და ეს ისეთი უცნაური საქციელია, რომ საზღვარ-გარეთული რევოლუციონერებიც-კი გააკვირვა...

ქვეყნის დასამშვიდებლად საჭირო იყო რამდენიმე წელი და ამ დასვენების შემდეგ, რომელიც ზოგს „დამინებად“, დახავსებად და უმოძრაოდ ყოფნად ეჩვენათ, დადგა ახალი ხანა მმართველობისა. ამისი შედეგი მთელმა ქვეყანამ იცის, თვით-არსი ახალის წეს-წყობილებისა იგრძნო რუსეთის გულმა და რუსის ჭკუამ. ეს თვით-არსი იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთი მტკიცედ დაადგა თავისს ეროვნებას. ალექსანდრე II მემკვიდრემ მტკიცედ შეინახა ყველა ის, რაც მის მშობლის სახელს დიდებით შეამკობს ისტორია, მაგრამ მაინც გასწმინდა და გასუფთავა წარსული მეფობა ყველა იმისაგან, რაც-კი შემოტანილი იყო დიდსულოვან მეფის განზრახვათა უეც აღმასრულებლების მიერ. მათგან შემოტანილი იდეა რევოლუციისა განაშორა კეთილის მყოფელ ცვლილებათა შემოღების იდეისაგან.

ხალხმა კერც-კი მოასწრო საყვარელის მეფის დასაფლავება და მაინც თავხედად დაიწყეს მის საქმეების წინააღმდეგ ლაპარაკი. ჯერ ორი თვეც არ გასულა და ჟურნალ-გაზეთებშიაც არამც თუ სცდილობენ ჩრდილი მოჰფინონ იმის ღვაწლს არის წინაშე, არამედ უარსაც ჰყოფენ გარემოებათა გადამასინჯებით სხვა-და-სხვა იმის მნიშვნელობას. გხედავთ რა, რომ ეხლაც, კვლავ, სცდილობენ რუსეთი უწინდელსავე არა-სანუგეშო გარემოებაში ჩაავდონ, იმედებით არ უნდა გასაზრდოთ ჩვენი თავიო.

გარნა რაც უნდა ბევრს ეცადნენ საზოგადო აზრის შერყევას და შეფერთხობას, ამას ვერ მოახერხებენ, როგორც ახერხებდნენ ხოლმე ამას ალექსანდრე მესამის გამეფებამდე.

**

გაზ. „რუსკ. ვედ.“-ის ამ 1895 წ. პირველს №-ში დაბეჭდილია საახალწლო წერილი, რომელშიაც წერილის ავტორი აცხადებს სურვილს, რომ ახალმა წელიწადმა ბევრი რამ კარგი მოუტანოს ხალხს და იმავე დროს ასახელებს იმ აუცილებელ საჭიროებათ, რომლებსაც ყურადღება უნდა მიექცეს.

ერთ-ერთი ამ ჩამოთვლილ საჭიროებათაგანი ის არის, რომ სწავლა-განათლებას ფართო ადგილი დაეთმოს, გაძლიერდეს. ამ მხრივ სხვა კულტურულ სახელმწიფოებთან შედარებით ძალიან უკანა კერთ ჩამორჩენილი და თითქმის პირველი ადგილი გვიჭირავს სხვა უსწავლელ ერთა შორის. საერო განათლების ხარჯთ-აღრიცხვა საკვირვლად დაცემულია და ჩვენის დროის მოთხოვნილებათა სრულად არ ეთანხმება. ჩვენთვის უფრო მეტი სკოლების საჭირო და ის, რომ რაც შეიძლება მალე იყოს განხორციელებული საყოველთაოდ სწავლის შემოღების აზრი. სკოლების გამრავლებასთან ერთად ხალხის განათლების სხვა საშუალების ხმარებაც არის საჭირო. დაარსება სამკითხველოებისა, წიგნთ-საცავებისა, სახალხო წიგნების ბეჭდვისა, რომლის განხორციელებასაც თვით საზოგადოებამ უნდა შეუწყოს ხელი, მაგრამ ამავე დროს მთავრობამ დახმარება უნდა აღმოუჩინოს იმ მხრივ მაინც, რომ ნაკლები დაბრკოლება ჰქონდეს ამ სასიკეთო საქმეს. გარდა ამისა, საჭიროა უფრო ვრცელ კურსიან საერო სასწავლებლების და სხვა დაბალს სატეხნიკო სკოლებისათვისაც ვიფიქროთ, რომელთა რიცხვიც ამ ჟამად ჩვენში ძალიან მცირეა, იმის მიუხედავად, რომ ამ ზოლო...

---

...ლით მიეღოთ. შაჰ-ნავაზმა გორ... ტფილისში მისცა სახლები და ...დართო თავისუფლად აესრულე...თ თავიანთი წირვა-ლოცვა. მო...ნავე მეფეს პაპისაგან გამო... წერილი მიართვეს და თან ...საჩუქარი იმას, დედოფალს, კათალიკოზს და სხვა წარჩინებულთ. ამის შემდეგ მისიონერები ყოვლის საშუალებით სცდილობდნენ თავიანთის სარწმუნოების გავრცელებას, რის გამოც რამდენჯერმე იმათი საქართველოდგან განდევნა დააპირეს, მაგრამ მისსიონერები ხალხს ექიმობას უწევდნენ, რის გამოც ყოველი სურვილი მათის განდევნისა ამაოდ რჩებოდა. საქართველოში-კი ექიმები და მკურნალნი სრულიად არ არიან. შემდეგში პაპიმ ნება მისცა მისსიონერებს მკურნალობისათვის სასყიდელი ეღოთ; გულ-კეთილი ხალხიც ფქვილს, ღვინოს, საქონელს და პატარა ტყვეებს არ იშურებდა ხოლმე იმათთვის. ამას გარდა, იმათ სხვა ნებართვაც მიიღეს პაპისაგან: წირვის შესრულება უმედავითნოდ, ყოველგან და ყოველნაირ ტანისამოსში; ცოდვების პატიება, ცხენების და მსახურების შენახვა; ტყვეების ყიდვა და ფულის სესხად გაცემა. ერთის სიტყვით, ძა...იან დიდი თავისუფლება აქვთ მი...მული. (არ უნდა დავივიწყოთ, ...მ შადრენი ამას ისეთ კაპუცინებზე ...ობს, რომელნიც რომში ფეხშიშველნი დაიარებიან)“.

„ყველა ამის მიუხედავად საქართველოში მათ სრულიად მცირე გავლენა აქვთ, რადგანაც ქართველნი უზრდელნი და შეუპოვარნი არიან; სარწმუნოების ასრულებას მარტო მარხულობაში ჰხედავენ და კაპუცინები ქრისტიანებად არ მიაჩნდათ, რადგანაც მათს მარხვაში ზოგიერთი განსხვავებაა, რის გამოც კაპუცინები მათ სასიამოვნოდ ძალაუნებურად ინახავენ ქართველების მარხვას და გარეგნობით თითქმის ქართველების ერთ მორწმუნენი ჰხდებიან“.

პირველ ხანს ტფილისის კაპუცინთა ეკლესიაში ბლომად დაიარებოდა ხალხი: ახალი წირვა-ლოცვა, ხუთის ხმისა და ორის საკრავისაგან შემდგარი მგალობელთა გუნდი იზიდავდა ხალხს; ეხლა-კი სულ ხუთიექვსი ღატაკი-და დაიარება, ისიც იმიტომ, რომ ეკლესია ჰკვებავს მათ. კაპუცინებმა სკოლაც დააარსეს, რომელშიაც რვამდე ღატაკთა შვილი დაიარებოდა, უფრო საჭმელ-სასმელისთვის, ვიდრე სწავლისთვის. ბერთა მისსიას აქ დიდი რამ სარგებლობისთვის კი არ ინახავს რომის ეკლესია, არამედ სახელისათვისაო, მითხრეს მე მისსიონერებმა. ამის შემდეგ რა უნდა სთქვას კაცმა ამისთანა გზა-დაბნეულ მისსიის შესახებ? ისევ მეფის სასახლეს მივუბრუნდეთ.

სამეფო სასახლე ირაკლისა და ვახტანგისა სამას ოთახიდგან შესდგებოდა. ეზოში ოთხი ეკკლესია იყო და, სამწუხაროდ, ერთი მეჩეთიც, როსტომ მეფისაგან აშენებული. სასახლის ახლო მოედანზედ ეხლაცა სჩანს ის ადგილი, სადაც კარის ეკკლესია იყო, წმ. გიორგის სახელობაზედ აგებული და რომელშიც ყოველ დღე-სასწაულში იკრიბებოდა მთელი სახლობა მეფისა. მასთან მდგომი მეორე პატარა ეკკლესია დღემდისაც ისევ არის და უკანასკნელ მეფეების კარის ეკკლესიად ითვლებოდა. იმაში წმინდა გიორგის ძველი, ძვირფასი, შესანიშნავი ხატი ინახება. ეს ეკკლესია 1710 წ. იყო აშენებული ვახტანგ რჯულ-მდებელის ძმის სვიმონისაგან. მის ახლოს სცხოვრობდა უკანასკნელის მეფის შვილი დავითი. დროებით სასახლის კარ-მიდამო კათალიკოსთა საცხოვრებელ ანჩისხატის ტაძრამდის არის. კათალიკოზთა მუდმივი საცხოვრებელი მცხეთა იყო. მხოლოდ კათალიკოზი დომენტი პირველად დასახლდა აქ, თ. ბაგრატიონ მუხრან-ბატონის სასახლის პირდა-პირ. იმის მიხედვით კათალიკოზი ნიკოლოზი და ორი უკანასკნელი ანტონიც აქა სცხოვრობდნენ.

მათს შორის შესანიშნავია ანტონი უფროსი, ანუ, როგორც ხალხი ეძახის, ანტონი დიდი, მაჰმადიანის მეფის იესსეს შვილი. ფრიად დიდმა მოსურნემ სამშობლოს განათლებისამ, მან სხვათა შორის წმიდანთა ცხოვრებანი დასწერა. მაგრამ მისსიონერებთან დაახლოვებამ, რომელთაგანაც სურდა გადმოეღო განათლება, სამღვდელოებას ეჭვი აალებინა. შურიანმა თეიმურაზმა ისარგებლა ...ითი, ანტონი დაითხოვა კათალიკოზობისაგან და იმის მაგიერ მოიწვია კეთილმსახური მოხუცი იოსები, რომელიც პირველად უარობდა და არა სურდა მთელის საქართველოს კათალიკოსობა. ამის შემდეგ ანტონი რუსეთში წავიდა, იქ უწმ. სინოდის წინაშე თავი გაიმართლა და სამწყსოდ ვლადიმირის ეპარქია მიიღო; აქვე მან შეიძინა დიდი სღვთის-მეტყველო ცოდნა და განივითარა ჭკუა-გონება. მეფე ირაკლიმ მამის სიკვდილის შემდეგ გამოიწვია ანტონი რუსეთიდგან და ისევ დაუბრუნა კათალიკოსის კათედრა. ამბობენ, რომ ანტონმა თავისის სიმართლის დასამტკიცებლად ეკკლესიაში წირვის დროს, რომელზედაც მეფეც იმყოფებოდა, ხმა-მაღლა აღიარა სიმვოლო სარწმუნოებისა; მერე მივიდა მოძღვართან, და უჩივლა, მოწიწებითა სთხოვა, რომ ჩემზედ ეჭვი ნურა გექნებათო და ნება მომეცით მირონს ვემთხვიოო. მაგრამ მოუდრეკელმა მოძღვარმა დიდი თავხედობა გამოიჩინა. არამც თუ ნება არ მისცა, პირიქით, ტუჩი იქით წაიღო. მოთმინებიდგან გამოყვანილმა ანტონმა, როგორც კათალიკოსმა თითონ მას აღუკრძალა მღვდელ-მოქმედება და განდევნა ტფილისიდგან, მისი გვარი დღემდისაც დაულოცველად ითვლება.

ანჩის-ხატის ტაძარი, რომელიც ღვთის-მშობლის დაბადებასა უქმობს, აგებული იყო მე-VII საუკუნეში ადარნასე მეფის დროს კათალიკოს ბაბილასაგან. სახელი ანჩის-ხატი, ძველ ქალაქ ანჩიდგან მიუღია ამ ეკკლესიას, რომელიც ახალციხის საათაბაგოში მდებარეობს და სადაც დაფარულ იყო ხელ-უქმნელი სახე ქრისტესი, რომელიც ვითომ საბერძნეთიდგან იყო აქ მოტანილი. თურქთაგან ამ საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ ესე სახე უფლისა გადმოტანილ იქმნა კათალიკოსთაგან თბილისში. ხელთ-უქმნელ ხატთან მიკარებისა გამო ფიცარზედ გადასული სახე ქრისტესი დროთა ზედგავლენით ცოტად წაშლილა. ხატი გარშემო ვერცხლით არის მოსევადებული და ზედ ქართული წარწერა აქვს.

საკვირველია და ამასთანავე გასაოცარიც, რომ ქართველთა დედაქალაქში სომეხთა ეკკლესიები ჰმეტობს მართლ-მადიდებელთა ეკკლესიებს. მათი რიცხვი კარის სამის ეკკლესიის გაუქმებით უფრო შემცირდა. მართლ-მადიდებელ ქართველთა დედა ქალაქში მე მგონი მათის სარწმუნოების ეკკლესიების რიცხვი უფრო მეტი

დროს ამ გვარის სკოლების მოთხოვნილება თანდათან ჰმატულობს. საშუალო სწავლა-განათლების საქმესაც დიდი განკარგება სჭირია, და ასევე უნდა გაუკეთესდეს გიმნაზიები და რეალური სასწავლებლები და თვით უნივერსიტეტებიც-კი.

ამ მოქმედებაში მყოფ სასამართლო კანონ-მდებლობის გარჩევასთან ერთად არ შეიძლება არ მოვიგონოთ ერთი მეტი ჩვეულება, რომელსაც ცვლილება არ შეეხება, და სინანული არ განვაცხადოთ იმის გამო, რომ სისხლის სამართლის სასჯელთა შორის ერთი ფრიად სამარცხვინო სასჯელი—გლეხთა გაჯოხვა ჯერ კიდევ არ მოსპობილა.

ერთი ფრიად დიდი საჭიროება კიდევ სხვა აქვს რუსეთსა: დიდი ხანია, რაც საჯაროდ აღიარებულია საჭიროება სხვა-და-სხვა უწესოებისა და ბოროტ-მოქმედების გამორკვევისა და ის, რომ დროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს მუდამ დღე მოღაღადე საჭიროებათა და მოთხოვნილებათ. არ შეგვიძლიან არ ვისურვოთ, რომ რუსეთში ბეჭდვის საქმეს მეტი თავისუფლება მიეცეს და ისე არ იყოს შევიწროებული, თავისუფლად შეეძლოს სხვა-და-სხვა ბოროტების გახსრეკა-გამომზება და იმის თავიდგან ასაცილებელ საშუალებათა დასახელება.

## წერილი საფრანგეთიდგან

(საკუთარის კორესპოდენტისაგან)

დღეს მინდა გავაცნო ჩვენს საზოგადოებას დუეს სამადნო საოსტატო სასწავლებელი (Ecole des Maîtres—Mineurs de Douai—Nord). მით უმეტეს, რომ იგი თითქმის ყოველ დღე სჩივის ადგილობრივ გაზეთებში, საქართველოში მრავალგან ჩნდება სხვა-და-სხვა მადნეულობა, მაგრამ ჩვენნი მცოდნენი არსად გვეპოვებიან, რომ დროზედ ვუპატრონოთ, ვიდრე უცხოლნი მოვიდოდნენო.

დუეს (ჩრდილოეთ საფრანგეთი) სამადნო საოსტატო სასწავლებელს აზრად აქვს მისცეს მოსწავლეთ როგორც პრაქტიკული ისე თეორიული ცოდნა ამ სპეციალურ საგნისა. კურსი სწავლისა გასტანს ხოლმე ორს წელს, რომლის ნახევარსაც მოსწავლენი ატარებენ თვით მადნებში და იღებენ სრულს მონაწილეობას მუშაობაში, მეორე ნახევარი-კი თეორიას აქვს მინდობილი.

სასწავლებელში შესასვლელად შემდეგი პირობანი არსებობს: სასწავლებელი იღებს როგორც პანსიონერებს, აგრეთვე გარედგან მოსიარულეთაც და თავისუფალ მსმენელთაც. ფასი პანსიონერებისთვის 500 ფრანკია წელიწადში, რომლის ერთი მესამედი შესვლისათანავე უნდა იყოს შეტანილი.

შემსვლელი 18 წელზედ ნაკლები არ უნდა იყოს. უფრო ადვილად მიიღებიან ისინი, ვისაც ექმნება მოწმობა, რომ რამდენიმე თვე გაუტარებიათ მადნებში და თვალ-ყური უდევნებიათ სამადნო საქმეებისთვის და აგრეთვე მოწმობა, რომ შეუძლიან გაუჭირვებლივ სასწავლებლის კურსის მოსმენა, ე. ი. ექმნება საკმაო ცოდნა, სხვათა შორის, მათემატიკისა (გეომეტრიისა და ალგებრისა) და ფრანგულის ენისა. საჭიროა წლოვანებისა და აცრის მოწმობებიც. ეს მოწმობანი უნდა წარედგინოს სასწავლებლის დირექტორს პირველ აგვისტომდე.

საგნები თვით სასწავლებლისა: 1) გეომეტრია, 2) ტრიგონომეტრია, 3) სახაზაო გეომეტრია (description), რომელიც საჭიროა გეგმის (პლანის) შესადგენად. 4) ფიზიკა, 5) ქიმია, 6) ცნობა იმ ნივთეულებისა და ელემენტებისა, რომელნიც ჩვეულებრივ იპოვება მადნებში. 7) მეხანიკა და სპეციალური მოწყობილება მადნებისა. 8) გეგმების აღება და ხატვა.

ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მსურველს შეუძლიან გადავიდეს უმაღლესს სამადნო სასწავლებელში (პარიზში), რომელიც უფრო თეორიულია, ვიდრე პრაქტიკული.

ნიკო ალნიაშვილი

## თეატრის მატიანე

—

„ორი ობოლი“, მელოდრ. 5 მოქ. 6 სურათად.

გუშინ-წინ, 6 იანვარს, „ქართულ წარმოდგენების მმართველ ამხანაგობის“ დასის მიერ წარმოდგენილ იქმნა «ორი ობოლი» მელოდრამა 5 მოქ. 6 სურათად, თარგმანი ა. ცაგარლისა, ქ-ნ გაბუნია ცაგარლისა და კ. ყიფიანის მონაწილეობით.

წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო და კარგადაც ჩაიარა. მშვენივრად და უნაკლულოდ ითამაშა ქ-ნმა გაბუნია-ცაგარლისამ მაწანწალა მათხოვარა დედაკაცის როლი, რომელიც არა ერთხელ უთამაშნია. კარგად ითამაშეს აგრეთვე ქ-ნმა საფაროვ-აბაშიძისამ უსინათლო ობლის როლი და ქ-ნმა ავალიშვილისამ. ბ-ნმა მარჯანოვმა ამ ჟამადაც კარგად ითამაშა ეს მისთვის ახალი პიესის როლი.

X

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

—

გ. სკანდაროვს 20 წელიწადი მეტია ალარაფერი დაუბეჭდია, ეხლა გამოსცა სიმღერათა კრება, რომელსაც „ზურნა“ ეწოდება და ზედ მეზურნეა დახატული; ამ წიგნის ლექსებიდგან სჩანს, რომ გ. სკანდაროვს თავისის ლექსების წერის კილო შეუცვლია. წიგნზედ განცხადებაა დაბეჭდილი, რომ მალე გამოვა „საზანდარიო“ მესამე გამოცემაო, რომელშიაც სულ ძველ მესიმღერეთა ლექსებია შეკრებილიო. კარგი იქმნება, რომ გ. სკანდაროვმა ამ ლექსებს დაურთოს შიო მეჭიანურეს ლექსებიც, რომელიც 1830 წლებში გარდაიცვალა და მგოდებელი და მგლოველი იყო ჩვენის ძველის ცხოვრებისა, იმისი ლექსები თუ მოიძებნა, არ შეიძლება, რომ ტფილისში არ აღმოჩნდეს სადმე.

## ნაწყვეტი

—

გულს ვერ მომიგბობ, იცოდე,
მაგ მდიდრულ საჩუქრებით,
გიჯობს ის მომცე, რაც რომ მე
მაცხოვრებს ნეტარებით,
რაც ჩემს მტირალს გულს გაჩვენებს
შემდეგში გახარებით,
რაც მიანდერძეს წინაპართ
სისხლის ღვრითა და გნებით!..

დ. ნინოწმინდელი

## თავის მოკვლა როგორც ხელობა.

თავის მოკვლა რომ კაცმა თავისს სასარგებლო ხელობად აქციოს და ვაჭრობის ხასიათი მისცეს ეს-კი სწორედ საკმაოდ უცნაური ამბავია და დიდს პატივსაცა სდებს ჩვენს ყოველისავე მომგონსა და შემქმნელს საუკუნეს. ეს აზრი პარიზში ძალიან ადვილად განხორციელდება თურმე. სულ არ არის დიდი ხანი ვილაც ლეონ ჟილლს ჩვენება ჩამოართვა თურმე პოლიციამ ამ საქმის შესახებ. ეს ნამდვილი ტიპი იყო „ხელოსან თავის მკვლელისა“ და ამიტომ მისი ბიოგრაფია (ცხოვრების აღწერა) სწორედ რომ კარგად გამოარკვევს ამ თავისებურს ხელობას.

„ხელოსანი თავის მკვლელი“ უფრო ზაფხულში ისწრაფებდა იცოცხლეს. ზამთარი იმისთვის მკვდარი და შეუფერებელი დროა. მაგრამ გზაფხული-კი, როდესაც ხეები ამწვანდება და ხალხი ქალაქს გარედ ბაღებში დაიწყებს ხოლმე სიარულს, ზედ გამოჭრილია და ჩვენი თავის მკვლელიც მაშინ ჰმოქმედობს ხოლმე. ღარიბულად, მაგრამ სუფთად იცვამს ტანთ, იხურავს ძველს ცილინდრს, რომელსამე ქალაქს გარედ მყოფს ბაღში მიბრძანდება, უფრო-კი იმისთანა ბაღებს ირჩევს, სადაც ხალხი ბლომად იკრიბება. ის აქ მოსეირნეთა შორის მრისხანე სახით და წარბშეკრული დადის. მერე აირჩევს თოკს, ჩამოაბამს, გაიხდის სერთუკს, მოიგლეჯს ქუდს და ასე იცდის, ვიდრე ხალხი მივიდოდეს. როდესაც დარწმუნდება, რომ იგი უკვე შენიშნეს, გაჰყოფს თავს თოკში და სახე-დალრეჯილი ჩამოეკიდება. რასაკვირველია, ხალხი ფაცა-ფუცით მისცვივდება საშველად; ერთი თოკსა სჭრის, მეორე მარყუჟსა ჰხსნის და საბრალო „თავის მკვლელი“ გონზედაც მოჰყავთ... მერე, როგორც ხალხის ჩვეულებაა, ეკითხებიან: რად ჩაიდინეთ ეგ საქმე? რა მიზეზია? რისთვის? ის, ვითომ ძალიან დასუსტებული, სერთუკის ჯიბეზედ უჩვენებს, საიდამაც პატარა ბარათის კუნჭული მოსჩანს თეთრად; ერთ-ერთი ამოიღებს ბარათს, გაშლის და კითხულობს: „გთხოვთ, ჩემის სიკვდილის ბრალს ნურავის დასდებთ, მევე მოვიკალ თავი. ეს ორი დღეა, რაც არა მიჭამია-რა და აღარც შემეძლო მეტის სიღარიბის ატანა“.

ხალხი მეტად შეძრწუნებულია ამ საზარელ თავ-განწირვით. ყველას ჰსურს უბედურის შველა. ამ დროს ის ცოტა მობრუნდება და ყველას უამბობს თავისს ისტორიას: მე ერთს კანტორაში ვმსახურებდი პროვინციაში, ადგილი დავკარგე, რადგანაც ამხანაგობამ იზარალა. რაც ფული მქონდა, შემომეხარჯა და პარიზში ჩამოველ ადგილის საშოვნელად. ცოლიც თან გამომყვა, იმასაც ჩემსავით არა უჭამია-რა აგერ ორი დღეა, და ვეღარ გავბედე ცარიელის ჯიბით შინ მისვლაო.

სიბრალულით გამსჭვალული ხალხი ქისასა ჰკიდებს ხელს; ერთი ამათგანი იღებს ქუდს და საზოგადოებას უვლის; შეკრებილს ფულს უბედურს თავის მკვლელს აბარებენ. მერე მი-

---

უნდა იყოს, ვიდრე სხვა სარწმუნოებისა. ეხლა-კი ტფილისში სიონისა და ანჩისხატის ტაძრებისა, წმ. გიორგის კარის ეკლესიისა, ორიც ბერძენთა მეტოქისა, რომელთაგანაც ერთი სიონისაა და მეორე იერუსალიმის წმიდა ჯვარისა და ერთიც ლათინებისა, დანარჩენი სულ სომხებისაა. იერუსალიმის მეტოხი ააგო ვახტანგ გურგ-ასლანმა და სახელად გოლგოთა უწოდა. სამასი წელიწადი იქნება მას შემდეგ, რაც ეს მეტოქი შეწირულია კეთილ-მსახურ ქართველთ მეფეთაგან წმიდა საფლავისათვის, მე მგონი უფრო გიორგი IX-საგან, იერუსალიმში გალაშქრების შემდეგ.

სომხთა ეკლესიებში უფრო შესანიშნავია: ჯვარისა, რომელიც სასახლის მოედნის ახლოა და რომლის სალაროშიაც ანდრია პირველ წოდებულის თავი ინახება. მის ზემოდ მთის ფერდობში, რომელზედაც ციხეა გაშენებული, სდგას ძველი ეკლესია ღვთისმშობლისა, მე XI საუკუნეში აგებული დავით აღმაშენებლისაგან, ტფილისის განთავისუფლების შემდეგ და, ესრედ წოდებული, თეთხაინისა, რომელიც ააგო კეთილ მორწმუნე მეფე ვახტანგმა, პალესტინის მოსაგონებლად. ამ ეკლესიის ქვემოდ ამ მოკლე ხანში სომხთა დედათა მონასტერი დაარსდა, ტაძრის გასწვრივ-კი დარჩენილია ბომონი, ნიშანი კერპთ-თაყვანის მცემლობისა. ბომონი ოთხ-კუთხია გუმბათით და აგურისაგან არის აშენებული. ამავე ფერდობს შესდევს ძველი ქალაქის კედელი, რომელიც კოშკებითაა გამაგრებული და კიბე-კიბე ჩამოდის ქალაქში.

ეს კედლები თვით ქალაქის დაარსებამდის იყო აშენებული და შემდეგში ვახტანგ-გურგ-ასლანს შეუკეთებ-შეუმაგრებია. იმისმა შვილმა ბაქარმა აქ წმ. ნიკოლოოზის სახელობაზედ ეკლესია ააშენა. მაჰმადიან მეფე როსტომის დროს როგორც ციხე, აგრეთვე ეკლესიაც ხელახლად შეკეთებული იყო. იმპერატორმა ირაკლიმ იერიშით აიღო ეს ციხე მე-VII საუკუნეში. ეს იყო პირველი მისი გამარჯვება. არაბნიც ამავე ციხეში გამაგრდნენ ტფილისის დაპყრობის შემდეგ. სალჩუკთა შემოსევის დროს ალპ-ასლანმა, რომელმაც ააოხრა ტფილისი, ციხესაც არ დააკლო თავისი, რის გამოც დავით აღმაშენებელს, მათ განდევნის შემდეგ, იაფად არ დაუჯდა მისი განახლება. რამდენსამე ხანს ხორასნის სულთანს ჯალალ-ედინს ეპყრო ეს ციხე, მაგრამ დედოფალი რუსუდანის დროს არც მონგოლებმა დააყარეს ხეირი, თუმცა მონგოლებმა ისევ მალე დაუბრუნეს ქართველებს ეს სიმაგრე, რადგან თითონ არა საჭიროობდნენ. თემურლანგის შემოსევამაც კარგი მარცხი მოსცხო, ბაგრატ მეექვსე გულგამეხებით შეეტაკა თემურლანგს და მხოლოდ დიდის ბრძოლის შემდეგ დაუთმო იგი; იმისმა შვილმა გიორგიმ განდევნა თათარნი ციხიდგან, მაგრამ ციხე დიდხანს არ იყო მოსვენებაში, სპარსეთში სოფთა გვარეულობა გაძლიერდა და ტფილისის სიმაგრე შაჰხ-იზმაილს და შაჰხ-თამაზს ჩაუვარდა ხელში. შაჰ-აბაზისაგან დაყენებულმა როსტომ მეფემ თავს იდვა ამ სიმაგრის განახლების ზრუნვა და დღემდის დაშთენილნი სიმაგრენი მისის ძლიერის ხელისაგან არიან განახლებულნი და შეკეთებულნი. თავისს მხრივ თურქთაც დაიპყრეს ეს ციხე, მაგრამ ჩქარავე დასტოვეს და მტკვრის მეორე მხარეს ხიდის ყურზედვე დაარსეს ციხე-დარბაზი მეტეხი. მას შამდეგ ძველს ციხეს მნიშვნელობა დაეკარგა და დაეცა ვახტანგ რჯულ-მდებელის დროს, თითქმის ნანგრევებს-ღა წარმოგვიდგენდა. მეფე ირაკლი სცდილობდა იმის გამაგრებ - გაუკეთესებას, მაგრამ სპარსთა შემოსევის შემდეგ ციხე ისევ ისე დარჩა და ეხლა მხოლოდ თოფის წამალს-ღა ინახავენ შიგ.

რამდენჯერმე აველ ვიწრო მიხვეულ-მოხვეულ ქალაქის გზით ამ ციხე-დარბაზთან და მხოლოდ ერთხელ ძლივს მოვესწარ შიგ შესვლას, რადგანაც მისი შესავალი მუდამ დაკეტილი იყო. აქ ასვლა ძნელია, მაგრამ ასვლისათანავე თვალწინ გადაშლილი სურათი ყველაფერს გავიწყებთ. ტფილელებს თავი მოაქვთ ამით და ყოველ ახლად მისულს აჩვენებენ ხოლმე ამ მშვენიერსს გადასახედს. ბაზრის ვიწრო ქუჩით აგატარებენ მთის ფერდობს და ამ გვარად ქალაქის კედელს მიგაყენებენ. თქვენ წინ პატარა კარი გაიღება და უეცრივ გადაგეშლებათ თვალ წინ საუცხოვო სურათი, თქვენ ფეხქვეშ გადაჭიმულ ტფილისისა, მიხვეულ-მოხვეულ მდინარისა და კავკასიის თოვლიან ქედებისა, რომელნიც ძალიან შორს მოსჩანან.

ამავე ციხიდგან რომ ჩაეშვათ ქალაქში და მეტეხის ხიდით გახვიდეთ ტფილისის მეორე ნაწილს ავლაბარში, თქვენ თვალს წარმოუდგება ისევე მრავალგვარი სანახავი, სავსე ისტორიულის მოგონებანით. შეჰხედეთ ხიდის ქვეშ გაჩქარებით მომდინარე მტკვარს, რომელიც გაშმაგებით ასკდებ-ეხეთქება მეტეხის კედლებს და იმის პირდაპირ ამაღლებულ, ხეებით და სახლებით შემკობილს ნაპირს: გაზაფხულობით ეს მომხიბლავი სურათი ერთი ათასათ უკეთესდება. ჭანდრისა და ალვის ხეები მშვენივრად გამწკრივებულა ციხე-დარბაზის წინ, რომელთაც ციხე-დარბაზი, მიუვალ ტფილისის გვირგვინი, ამაყად გადმოჰყურებს.

გაიხედეთ ეხლა მეორე ხიდის ქვეშ, რომელსაც ერთი ციცაბო წყლის ნაპირისა მეორესთვის გადუბამს. იმის ქვეშაც ისევე გაშმაგებით მოშუის იგივე მდინარე, რომელიც მზად არის გადალახოს ყოველი შებრკოლება და ძირს დასცეს ხიდის აქეთ-იქითა ნაპირები. იმის ორსავ მხარეს გადაჭიმულა ტფილისი და ავლაბარი, გარეთუბანი და თვით ქალაქი; პირველი შემკობილია ეკლესიებით, მეორეს-კი ჯერ ისევ ახლად გაშენებულობა ეტყობა და სავსეა აქლემებით, რომელნიც ყვერილით ჩაეშვებიან ხოლმე წყლის ქვიშიანს ნაპირზედ. მაგრამ შორს, შორს, სადაც უფრო სხვა სურათი გიზიდავთ, კავკასიის [illegible] თითქოს ზეცას მიჰბჯენია და [illegible] შორის თოვლით შემოსილი ყაზბეგ მზეზედა ჰბრწყინავს. ქალაქის ხმაურობით სავსე ცხოვრებას თითქოს უხდება ეს სურათი, თითქოს ამშვენებს კიდეც.

მაგრამ ეს რაღა სამლოცველოა მეტეხის ახლოს, კედელს რომ მიჰკვრია, თითქოს სამალულია მიწის ხვრელისაო?—ეს სახსოვარია ძლევა-მოსილის კაცისა. აქ იტანჯა წმ. მოწამე აბო ქრისტესათვის, ხალიფების მთავარ მართებლისაგან; აქ ჰგვემეს, იგი მახვილით, დასწვეს და მისი ფერფლი მტკვარში გადაჰყარეს.

ედილლი

...კავთ პოლიციის განყოფილებაში, ...ქმს უდგენენ, უამისობა არ შეიძლე... პოლიციის კომისსარი ჩვენებას ...ამოართმევს, მაგრამ განა ის-კი კაცი არ არის; ოქმის შედგენის შემდეგ საბრალოს ანთავისუფლებს და გამოთხოვებისას ფულსაც უდებს ხელში.

ამ გვარის ეშმაკობით ლეონ ჟილლი კარგა ფულს აგროვებდა თურმე. წარსულ ზაფხულში ხუთჯერ ჩამოირჩო თავი; ეს ოფიციალურ დადგენილის ოქმებით, თორემ ვინ იცის იმისთანა შემთხვევაც რამდენი ჰქონდა, რომ პოლიციამ ვერ შეიტყო. ივლისში ლეონ ჟილლმა ს. მანდეში, ვენსენის ბაღში, ჩამოირჩო თავი, 6 აგვისტოს—დოლის მინდორს ახლო, სენის ბულონში; ბევრის ხალხის გამო აქ ლეონ ჟილს სწორედ რომ საგანგებო შემოსავალი ჰქონდა. 12 აგვისტოს ვერსალში სცადა ჩამორჩობა და მართლაც კინაღამ აუცხადდა; ამ ჟამად-კი საავადმყოფოში მოუხდა დაწოლა. შემოსავალი 300 ფრანკი ჰქონდა. სამის დღის შემდეგ ლეონმა ხელ-მეორედ ჩამოირჩო თავი მედონში და უკანასკნელად-კი 5 სექტემბერს-ღა სცადა სენ ჟერმენის ტყეში. ეს იყო ამ სეზონში უკანასკნელი და შემოსავალიც ბევრი აღო, რადგანაც მის საბედნიეროდ ამ სეზონს ერთი მდიდარი პარისელი მებანკე დაესწრო, რომელმაც კარგა დიდი თანხა უბოძა.

ამ რიგად ჟილლის ხელობა საკმაოდ შემოსავლიანი ყოფილა. თუ პოლიციამ არ დაუშალა, იმედია, რამდენისამე წლის შემდეგ დიდის თანხის პატრონი შეიქმნება. მაინც ეს ხელობა ბევრ სხვა ხელობაზედ ცუდი არაფრით არის და ამასთანაც მუდამ ...აფრთხე სდევს.

## გასართობი

სამარესავით ბნელი ღამე იყო. თვალთან მიტანილი თითიც-კი არა სჩანდა. ხანში შესული ფოსტის მოხელე დეპეშაძე მოუსვენარად ტრიალებდა სარეცელზედ და იმის თვალს ძილი არ ეკიდებოდა. ჰშფოთავდა, ჰბორგავდა, საშინლად აღელვებული იყო.

— უნდა მოვკლა, მე ის მოსვენებას არ მომცემსო! წამოიძახებდა ხოლმე დრო-გამოშვებით. ეტყობოდა, რომ გულში რაღაცა ფარული განზრახვა ჰქონდა და ეს განზრახვა მოსვენებას არ აძლევდა, მშვიდობას ურღვევდა.

— არა, უნდა მოვკლა, უეჭველად უნდა მოვკლაო, წამოიძახა კვლავ: დღევანდელი დღეა ერთს წუთს არ მომასვენა, სიცოცხლე გამიმწარა და არც ეხლა მასვენებს!.. და დეპეშაძე, ამღვრეულის თვალებით, წამოჯდა.

გაჰკრა წუმწუმას, აანთო სანთელი, ამღვრეული თვალები მიატარ-მოატარა ოთახ... დაინახა, დაინახა თავისი მტანჯველი, ... მაწამებელი. სიხარულით უნდოდა ...ეკივლა და მიჰვარდნოდა, მაგრამ თავი შე...აგრა, არ გამიგოსო განზრახვაო. ნელ-ნელა ...იეპარა, წაუჭირა ხელი და შეუბრალებლად ამოჰხადა სული. სისხლის წვეთი ისევ ხელზედა ჰქონდა შერჩენილი თავისის უბედურის მსხვერპლისა.

ამას შემდეგ ამ გულ-ქვავმა ადამიანმა ჩააქრო სანთელი და ღიმილით მიწვა სარეცელზედ. სინიდისი არა ჰქენჯნავდა, არ აწუხებდა იმის გაქვავებულსა და გაკლდევებულს ბოროტ გულს.

ის-კი, საცოდავი, უსიცოცხლოდ, გაუნძრევლად ეგდო გულ-აღმა, ამ წუთი-სოფელს შეუბრალებლად გამოსალმებული. სა...

## წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის“ მე-3 №-ში დაბეჭდილია წერილი ბ-ნ ვარდენ გოცირიძისა, რომელიც იოსებ დავითაშვილის საფლავის შესახებ გამოელაპარაკა საზოგადოებას და ეკითხება, დაიდგმის თუ არა ძეგლიო. ბ-ნი გოცირიძე გულწრფელის მადლობის ღირსია, რომ თვალ-ყური უდევნებია დავითაშვილის საფლავისათვის და საზოგადოებას მოაგონა, დროა რაიმე ნიშანი დავადგათ განსვენებულის საფლავს, რომ ჩვენის დაუდევრობით საფლავი სულ მთლად არ დაგვეკარგოსო. რასაკვირველია, ამ წერილის წამკითხველი ქართველი საზოგადოება და ქართულის წიგნების გამომცემელი ამხანაგობაც გაიხსენებს ხელ-ახლად განსვენებულს პოეტს და ეცდება ამ ზემო ხსენებულის შიშის თავიდგან აცილებას.

როდესაც განსვენებულის ი. დავითაშვილის ნაწერებს კუპირებდით გამოცემას, კონსტან. თავართქილაძემ მთხოვა, მისთვის მიმეცა უფლება გამოცემისა და 100 მანეთსაც მპირდებოდა ავტორის ძეგლის სასარგებლოდ, მაგრამ მე ზემოხსენებულს გამომცემელს ამხანაგობას გადავეცი გამო[ს]აცემად ეს ნაწერები. დღეს, როდესაც ეს აზრი დაიბადა, მალე დავადგათ რაიმე ნიშანი ი. დავითაშვილის სამარესაო, ეჭვი არ არის როგორც საზოგადოება, ისე ეს ამხანაგობაც, შემწეობას აღმოუჩენენ ამ კეთილს განზრახვას და გაზაფხულამდე იქნება 30 თუმნამდის შეიკრიბოს. გოცირიძეს-კი ვთხოვო, იმ დრომდის რაიმე უბრალო ნიშანი დაადოს, რომ მართლა-და არ გაჭირდეს შემდეგში საფლავის პოვნა.

გარსევან რატიანი

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 იანვარი

**პეტერბურგი.** რკინის გზის მთავარ-ინსპექტორი თავადი ხილკოვი უმაღლესის ბრძანებით გზათა სამინისტროს მმართველად იქმნა დანიშნული. გაზ. „სვეტ“-ი იუწყება, რომ მთავრობას განზრახვა აქვს ბევრი პური იყიდოს პურის ბაზარის შესამსუბუქებლადაო.

**პარისი.** საჯაროდ გამოცხადებულია, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტმა უკვე გადასწყვიტა ამ თანამდებობას თავი დაანებოს და სთხოვა მინისტრებს, სამსახურიდგან გადადგომის თხოვნები დროებით უკან დაიბრუნეთ, რათა უფლების გადაცემა შესაძლებელი შეიქმნესო. შალმელ ლაკურმა სენატში პრეზიდენტის მანიფესტი წაიკითხა, რომელიც ძალიან ცუდად ჰმოქმედობს. მანიფესტის უკანასკნელმა სიტყვებმა მრავალი წინააღმდეგობა და ხანგრძლივი დრტვინვა გამოიწვია. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ კონგრესი ხუთშაბათს შეიკრიბებაო. სხდომა ოთხშაბათამდის გადადებულია. დეპუტატთა პარლამენტშიაც ბრისსონმა წაიკითხა პერიეს წერილი სამსახურიდგან გადადგომის შესახებ; უმწვერვალესს მემარჯვენეთა და მემარცხენეთა ხმაურობა ალაგ-ალაგ კითხვასა სწყვეტავს. სოციალისტები ჰყვირიან: „სოციალურ რესპუბლიკას გაუმარჯოს!“ ლაროშფუკო და დულოვილი გაიძახიან: „გაუმარჯოს მეფეს!“

ამ ყვირილის პასუხად სხ. ცხ. ადგილიდგან ისმის: „რესპუბლიკას გაუმარჯოს!“ ამ ყვირილსა და არეულობაში წავიდ-წამოვიდნენ დეპუტატები. პერიეს წერილში სხვათა შორის ნათქვამია: „ჩემმა ოცის წლის ბრძოლამ და რესპუბლიკისა და დემოკრატიის ერთგულებამ მაინც ვერ დაარწმუნა რესპუბლიკელნი, რომ მე გულწრფელად ვემსახურებოდი და ჩემი საპოლიტიკო რწმენაც მათი წინააღმდეგი არ იყო, — ვერც ის მოწინააღმდეგენი მოიყვანა გონს, რომლებსაც სჯერათ, თანახმა გავხდები, რომ იმას თავისს განზრახვათა აღსრულებაში მოსაყვან იარაღად მიხმარონ. აგერ ექვსი თვეა, რაც მხედრობასა, მაგისტრატურასა, პარლამენტსა და თვით სახელმწიფოს არა პასუხის-მგებელ მეთაურსაც შეურაცხყოფას აყენებენ და აი, ამას ჰქვიან თავისუფლება... რისა. მე არ ძალმიძს სიმძიმე ჩემის ზნეობრივის პასუხის გებისა იმ უძლურებას შევუფარდო, რომლითაც აღჭურვილი ვარ. ვამბობ-რა უარს ამ თანამდებობაზედ, იქნება ვუჩვენო კიდეც იმათი მოვალეობა მათ, რომელნიც უფლების ღირსებასა და საფრანგეთის კეთილს სახელს აფასებს; არა ვღალატობ რა ჩემს აზრსა და რწმენასა, დარწმუნებული ვარ, რომ სახელმწიფოში სხვა-და-სხვა ცვლილება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც მთავრობა ეცდება კანონებს ყველა ერთნაირად პატივსა სცემდეს და ყველა მისნი ხელ-ქვევითნი შეერთებულის ძალით ჰმოქმედებდენ საზოგადო საქმის გასაკეთებლად. დღევანდელ სამწუხარო მდგომარეობის მიუხედავად, მე მწამს მერმისი, პროგრესსი და მართლ-მსაჯულება საზოგადოებისა“.

**ბერლინი.** გუშინ იმპერატორმა გრაფ შუვალოვთან შეიარა: მერე იმპერატორმა და დედოფალმა გამოსათხოვნელად მიიღეს გრაფი, რომლის შემდეგაც გრაფმა შუვალოვმა მეუღლითა და ქალიშვილითურთ მათს უდიდებულესობასთან ისაუზმა. 18 იანვარს გრაფი ვარშავაში წავა.

6 იანვარი

**პეტერბურგი.** ელჩი ლობანოვ-როსტოვსკი ვენიდგან პარიზში გადაჰყავთ.

**რომი.** აბესინელ-ტიგრინებთან შეტაკების დროს იტალიელებს 120 კაცი მოუკლეს და 90 დაუჭრეს. დახოცილ ტიგრინელთა შორის 7 ჯარის უფროსი ურევია.

**ქაირი.** ლეონტიევის სამეცნიერო ექსპედიცია აბისინიაში წავიდა.

**ნიუ-იორკი.** მონტანის რკინის გზის საწყობში ვუტტ-სიტში ცეცხლი გაჩნდა და თოფის წამლით დატვირთული ვაგონები ააფეთქა; 75 კაცი მოკლულია, 100-დის დაჭრილი.

**ბუენოს-ჰაირესი.** სამინისტრო სამსახურიდგან გადადგა. უეჭველია რესპუბლიკის პრეზიდენტიც უარს განაცხ დებს თავისს თანამდებობაზედ.

**ვერსალი.** რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევის დროს ვალდეკ-რუსსოს 184 კენჭი ამოუვიდა. ვალდეკ-რუსსომ განაცხადა, რომ პრეზიდენტობის კანდიდატობაზედ უარს ვამბობ ფორის სასარგებლოდ, რომელმაც 244 კენჭი მიიღო. ბრისსონმა 338 კენჭს ყრა ხელახლად მოხდება.

მეორე კენჭს ყრაზედ რესპუბლიკის პრეზიდენტად ფელიქს ფორი იქმნა ამორჩეული.

6 იანვარი

**პეტერბურგი.** გაზეთები გვაუწყებენ, რომ პეტროვი ისევ გზათა მინისტრის ამხანაგად რჩებაო.

**ვერსალი.** პრეზიდენტის არჩევანები მოხდა; მეორე კენჭის ყრა პირველზედ ბევრით აჩქარებული იყო. არჩევანებში სოციალისტებიც იღებდნენ მონაწილეობას, რომ ბრისსონის სასარგებლოდ კენჭი მეტი ყოფილიყო. ამორჩეულ იქმნა ფორი 428 ხმის უმეტესობით 794-დგან.

**მილანი.** სააპელაციო სასამართლოს ოპერ პროკურორი თავისსავე სახლში იქმნა მოკლული. მკვლელი, რომელიც უკვე დაიჭირეს, შეშლილად აჩვენებს თავს. მკვლელმა განაცხადა რომ მას ატტილიო გლელოკიპას ეძახიან. ამბობენ, ანარქისტი უნდა იყოსო.

**სოფია.** პრინც ფერდინანდისაგან ნახვის ნებართვის აღებაზედ კარაველოვი უარს აცხადებს.

**პეტერბურგი.** ოფიციალურად გამოცხადებულია რომ 25 მარტს გაიხსნება ქსენიას სახელობაზედ დაარსებული ინსტიტუტი ორის დაბალის კლასით, რომელშიაც ოც-ოც-და-ათი მოსწავლე ქალი იქმნება.

პეტერბურგის ბირჟა, 30 დეკემბერი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო. | 7,89 | 7,41 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები. | 147,50 | 148 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის ძოგებ(?) ბილეთი . . . | 226,25 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | 224,75 | — „ | — „ |
| 4% მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგები ფურცელი . | 201,25 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | 101 | — „ | — „ |
| 5% . . . . . | 98 | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკის 6%. | 101 | — „ | — „ |
| 5% . . . . . | 98,75 | 98,50 | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $98^{3}/_{4}$ | — „ | — „ |


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვაჩი. 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

ი. ფ. პრიტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, —1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)




დუხი „საფო“
დუხი „ნევას „კაპრიზი“
დუხი „თეთრი მიუსკი“
ძალიან ჟამძლე და სასიამოვნო.

ПРОДАЕТСЯ ВЕЗДѢ.
Гл. складъ: С.П.Б. Александр. площ. 9
МОСКВА, Никольская, д. Шереметева
ВАРШАВА, Новый Свѣтъ, 37

ცხოვრება
დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა
თარგმნილი
მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი
ფასი ერთი შაური
ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |